სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება № 485

(ოქმი № 428)

თბილისი

2020 წლის 22 სექტემბერი

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსის მე-2 ტურში გასასვლელი კანდიდატების ვინაობის გამოვლენის და მე-2 ტურის ვადების დანიშვნის შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, "სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ" განცხადების (სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 18.08.2020წ. №482 (ოქმი №427) გადაწყვეტილება) და კონკურსის შესაბამისად სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოვლენასთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ კენჭისყრის ჩატარების წესის შესახებ ინსტრუქციის (სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 12.09.2013წ. №263 (ოქმი №256) გადაწყვეტილება; შეტანილია ცვლილება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს 06.12.2016წ. №354 (ოქმი №333) და 22.09.2020წ. №485(ოქმი №428) გადაწყვეტილებებით) თანახმად,

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებული ღია კონკურსის (შემდგომში - "კონკურსი") 1-ლ ტურში ჩატარებული კენჭისყრის შედეგად კონკურსის მე-2 ტურში გადასული კანდიდატები:

1. ალექსანდრე ვახტანგოვი – 5 ხმა
2. ირმა სოხაძე – 7 ხმა
3. თინათინ ბერძენიშვილი – 9 ხმა
4. ხათუნა ლაგაზიძე – 7 ხმა

1. კონკურსის მე-2 ტურის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:
   ა) კონკურსის მე-2 ტურში გასულ კანდიდატებთან გასაუბრება ჩატარდეს 2020 წლის 24 სექტემბერს. 14:00 დან 16:00 საათამდე
   ბ) სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის კანდიდატის გამოსავლენად სამეურვეო საბჭოს სხდომა ჩატარდეს 2020 წლის 25 სექტემბერს.
2. წინამდებარე გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ვებ-გვერდზე.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

ირინა ფუტკარაძე

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს წევრები:

ბესიკ ლილუაშვილი

გიორგი ნიჟარაძე

იზაბელა ოსიპოვა

ირაკლი პაპავა

მიხეილ ჩიკვილაძე

ზაზა აბაშიძე

გრიგოლ მურღულია

ბონდო მძინარაშვილი